



საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომი
ანგარიში

(2023 წლის 24 მარტი და 1-2 მაისი)

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის
21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

2023

სარჩევი

შესავალი	3
1. მოპყრობა.....	3
1.1. დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ძალადობა	3
1.2. პატიმართა შორის ძალადობა	3
2. პატიმრობის პირობები.....	4
2.1. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები	4
2.2. ფიზიკური გარემო	7
3. კონტაქტი გარე სამყაროსთან	8
4. მოთხოვნა/საჩივარი	9
5. სამედიცინო მომსახურება	11
5.1. სამედიცინო ინფრასტრუქტურა.....	11
5.2. სამედიცინო პერსონალი და სამედიცინო დოკუმენტაცია.....	11
5.3. რეპროდუქციული ჯანმრთელობა.....	12
5.4. ფსიქიკური ჯანმრთელობა.....	13
5.5. ხანდაზმული პატიმრები	13

შესავალი

2023 წლის 24 მარტს და 1-ელ და 2 მაისს სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მონიტორინგის ვიზიტები განახორციელა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში. გეგმიური მონიტორინგის მიზანი დაწესებულებაში მყოფ ქალთა პატიმრობის პირობების შესწავლა იყო. მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა ინდივიდუალური¹ და ჯგუფური გასაუბრებები მსჯავრდებულებთან და ბრალდებულებთან, მათ შორის უცხოელ პატიმრებთან. მონიტორინგის ჯგუფი ასევე გაესაუბრა დაწესებულების ადმინისტრაციას, სოციალურ და სამედიცინო სამსახურს, შეამოწმა დაწესებულების ფიზიკური გარემო, სამედიცინო და არასამედიცინო დოკუმენტაცია. მონიტორინგის ფარგლებში ასევე გაანალიზდა სახალხო დამცველის აპარატში 2022-2023 წლებში შემოსული განცხადებების შინაარსი და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული ინფორმაცია.

მონიტორინგის განხორციელებაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის (დეპარტამენტი) თანამშრომლებთან და სპეციალური პრევენციული ჯგუფის ექსპერტებთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის და ბავშვის უფლებათა დეპარტამენტის თანამშრომლები, რომელთაც შეისწავლეს ქალ და დედა პატიმართა სპეციფიური საჭიროებები.

1. მოპყრობა

1.1. დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ძალადობა

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ ფიზიკური ძალადობის შესახებ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ინფორმაცია არ მიუღიათ.

მიღებული ინფორმაციის თანახმად, N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ უხეში მიმართვის სავარაუდო ფაქტებს, რაც ყვირილში და ხმამაღალ საუბარში გამოიხატებოდა.

1.2. პატიმართა შორის ძალადობა

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ N5 დაწესებულებაში ფიქსირდება პატიმართა შორის კონფლიქტის შემთხვევები. დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციის თანახმად, ხშირია პატიმრებს შორის სიტყვიერი დაპირისპირების შემთხვევები, ხოლო იშვიათია, პატიმართა შორის ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები. 2022 წელს დაფიქსირდა პატიმრებს შორის ფიზიკური დაპირისპირების 11 შემთხვევა, ხოლო, 2023 წელს - 2 შემთხვევა.² პატიმრებს

¹ ინდივიდუალური ინტერვიუ ჩატარდა 35 ბრალდებულ და მსჯავრდებულ ქალთან.

² აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით, N5 დაწესებულებიდან შეტყობინებები გაგზავნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში.

შორის ფიზიკური დაპირისპირების დროს დაწესებულების თანამშრომლები დროულად მოქმედებენ და პატიმრებს ერთმანეთისგან განაცალკევებენ. ასევე, კონფლიქტში მონაწილე პატიმრებს ეკისრებათ დისციპლინური სახდელები.

პატიმართა შორის კონფლიქტებს ძირითადად იწვევს ერთმანეთის შესახებ საუბარი და ცრუ ინფორმაციების გავრცელება, ასევე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საკითხები.

2. პატიმრობის პირობები

2.1. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ყველა მსჯავრდებულს არ აქვს თანაბარი შესაძლებლობა ჩაერთოს აქტივობებში. ამასთან, დაწესებულებაში არ არის დასაქმებული საკმარისი რაოდენობის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი.³ სოციალურ მუშაკებს და ფსიქოლოგებს არ აქვთ სათანადო სამუშაო პირობები და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი,⁴ რაც ხელს უშლით სამუშაოს სრულყოფილად და ხარისხიანად შესრულებაში.

მსჯავრდებულთა არათანაბარი ჩართულობა

სარეაბილიტაციო აქტივობები ჩართვის შესაძლებლობა მეტწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კორპუსშია მსჯავრდებული განთავსებული. ვინაიდან C და D საცხოვრებელ კორპუსებში ყველაზე მეტი სარეაბილიტაციო სივრცეებია, ამავე კორპუსებში მყოფი მსჯავრდებულები მეტად არიან ჩართული სარეაბილიტაციო აქტივობებში, ვიდრე B საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები მსჯავრდებულები, სადაც სარეაბილიტაციო აქტივობების ჩასატარებელი სივრცეები არ არის მოწყობილი. სარეაბილიტაციო აქტივობებში ვერ ერთვებიან ის მსჯავრდებულები, რომლებიც დაწესებულების დახურული ტიპის კორპუსში არიან განთავსებული.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართვის მსურველ მსჯავრდებულთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე თითოეული აქტივობის ლიმიტი არის განსაზღვრული.

ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო აქტივობების არარსებობა

³ დაწესებულებაში დასაქმებულია 4 ფსიქოლოგი, 4 სოციალური მუშაკი/შემთხვევის მენეჯერი და 5 შემთხვევის ადმინისტრატორი. პერსონალის განმარტებით, 1 სოციალური მუშაკის და 1 ფსიქოლოგის თანამდებობა ვაკანტურია.

⁴ სოციალურ მუშაკებს არ აქვთ საკმარისი სამუშაო სივრცე, არ აქვთ წვდომა ინტერნეტთან, ფსიქოლოგებს არ აქვთ პრინტერი; რიგ შემთხვევებში სარეაბილიტაციო აქტივობის ჩატარებისთვის საჭირო ინვენტარიც კი არ არის ხელმისაწვდომი; B საცხოვრებელ კორპუსში არ არის ოთახი სარეაბილიტაციო აქტივობებისთვის; ამავე საცხოვრებელ კორპუსში სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან ინდივიდუალური შეხვედრისთვის მოწყობილი ოთახი არის საკმაოდ პატარა ზომის, ოთახს არ აქვს ფანჯარა, შესაბამისად არ ხდება ოთახის ბუნებრივი ვენტილაცია და განათება.

დაწესებულებაში არ ხდება პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებების გამოკვლევა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად მსჯავრდებულებზე მორგებული სარეაბილიტაციო აქტივობების შეთავაზება. ასე მაგალითად, უცხოელი მსჯავრდებულები⁵ ენის ბარიერის გამო ვერ ერთვებიან სარეაბილიტაციო აქტივობებში.⁶ ასევე, დაწესებულებაში არ ხდება ხანდაზმული პირების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და არ არის დანერგილი მათზე მორგებული სარეაბილიტაციო აქტივობები. არ ხორციელდება პროგრამები ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაციისთვის. დედათა და ბავშვთა კორპუსში მყოფი დედებისთვის სარეაბილიტაციო აქტივობები არ ტარდება. აქტივობების შეთავაზების და მონაწილეობის სურვილის შემთხვევაშიც დედები ვერ შეძლებენ თავისუფალი დროის მოძიებას, ვინაიდან დაწესებულებაში აღარ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი.

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ შემთხვევის მართვის პროცესში 85 მსჯავრდებულია ჩართული. იმ ფონზე, რომ დაწესებულებაში 271 მსჯავრდებული იყო,⁷ ეს მაჩვენებელი დაბალია. მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ მსჯავრდებულები ნაკლებად არიან ინფორმირებული სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის შესახებ.

დასაქმება

მიუხედავად მაღალი მოთხოვნისა, დაწესებულებაში მწირია დასაქმების შესაძლებლობები. სოციალური მუშაკების შეფასებით, ხელნაკეთი ნივთების ონლაინ მაღაზიაც სუსტად მუშაობს და ნივთები მნელად იყიდება. აქვე უნდა ითქვას, რომ დაწესებულებაში სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულებს წლებია ხელფასი არ მომატებიათ.

პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილება

რეაბილიტაციის კუთხით, მძიმე მდგომარეობაა დაწესებულების პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილებაში,⁸ სადაც ბრალდებულები და მსჯავრდებულები 23 საათი იმყოფებიან საკანში საზრისს მოკლებული აქტივობების გარეშე. დღეში მხოლოდ 1 საათით გადიან სასეირნოდ და ისიც საცხოვრებელი საკნის მსგავს ოთახებში⁹. მართალია ამავე განყოფილების სასეირნო ეზოში განთავსებულია სავარჯიშო ინვენტარი, თუმცა, დაწესებულების

⁵ საუბარია იმ პატიმრებზე, რომლებსაც რუსული და ინგლისური ენა არ ესმით.

⁶ ენის ბარიერის გამო მათთან არ მუშაობს სოციალური მუშაკი, შესაბამისად არც შემთხვევის მართვა ხორციელდება

⁷ 1 მაისის მდგომარეობით.

⁸ 2022 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის შიდა კონტროლისა და აუდიტის სამმართველომ N 5 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარა გეგმიური სრული სისტემური მონიტორინგი. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების დახურულ ნაწილში მოთავსებულმა რამდენიმე ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა კი მიუთითა, რომ სურვილი აქვთ ჩაერთონ საგანმანათლებლო პროგრამებში, დაკავდნენ სპორტული აქტივობებით და მიეცეთ მუშაობის შესაძლებლობა.

⁹ ოთხივე მხრიდან შემოსაზღვრულია კედლით და გარე სივრცის დანახვა მხოლოდ გისოსებიანი ჭერიდან არის შესაძლებელი.

ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით,¹⁰ ის პატიმრობის და დახურული ტიპის განყოფილებაში მყოფი პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი არ არის.¹¹

შიდა კლასიფიკაციის საკნები

კიდევ უფრო რთული მდგომარეობაა შიდა კლასიფიკაციის საკნებში, სადაც ახალ შემოსახლებული პატიმრები ხშირად 10-14 დღეს ატარებენ და კანონით¹² გარანტირებული გასეირნების უფლებითაც კი ვერ სარგებლობენ. შიდა კლასიფიკაციის საკნები მოწყობილია დაწესებულების C საცხოვრებელ კორპუსში და ფიზიკურად არ არსებობს სასეირნო სივრცე იქ მოთავსებული პატიმრების სუფთა ჰაერზე გასაყვანად.

რეკომენდაციები იუსტიციის მინისტრს:

- დაწესებულების პატიმრობის და დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში მყოფ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა ყოველდღიურად არანაკლებ 2 საათისა იმყოფებოდნენ სუფთა ჰაერზე; ასევე, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს ამავე შენობაში განთავსებული სავარჯიშო ინვენტარი
- დაავალოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს შეისწავლოს N5 დაწესებულების შიდა კლასიფიკაციის საკნებში მყოფი პატიმრების პატიმრობის კოდექსით¹³ გარანტირებული გასეირნების უფლებით სარგებლობის შეზღუდვის საკითხი და განახორციელოს შესაბამისი რეაგირება. მიღებული გადაწყვეტილებისა და გატარებული ღონისძიების შესახებ კი აცნობოს სახალხო დამცველს
- უზრუნველყოს N5 დაწესებულებაში სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ვაკანტური ადგილების შევსება
- განხორციელდეს N5 დაწესებულებაში დასაქმებული სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის სამუშაო პირობებისა და მატერიალურ ტექნიკური რესურსების გამოკვლევა და გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის გატარდეს ყველა საჭირო ღონისძიება
- უზრუნველყოს დაწესებულებაში მყოფ პატიმართა ყველა ჯგუფის ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვლევა და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სარეაბილიტაციო აქტივობების დანერგვა/განხორციელება

¹⁰ მათი განმარტებით, დაწესებულებაში არ ჰყავთ ფიტნეს ინსტრუქტორი, რომელიც პატიმრებს დაეხმარება სავარჯიშო ტრენაჟორების სწორად გამოყენებაში, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ტრენაჟორის არასწორი გამოყენებით პატიმარს დაზიანება არ მიადგეს.

¹¹ მხოლოდ 1 უვადოდ თავისუფლებაადკვეთილი პირი სარგებლობს აღნიშნული ინვენტარით.

¹² პატიმრობის კოდექსი, მე-14 მუხლის I ნაწილი, „ზ“ პუნქტი.

¹³ მე-14 მუხლის I ნაწილი, „ზ“ პუნქტი.

- უზრუნველყოს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული მსჯავრდებულების ხელფასის გაზრდა

2.2. ფიზიკური გარემო

N5 დაწესებულებაში გასულ წლებში არაერთი დადებითი სახის ინფრასტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა, კერძოდ, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა საკნებში; ხელოვნური საფარი გაკეთდა სპორტულ მოედნებზე; მოეწყო ინფრასტრუქტურა საოჯახო პაემნის უზრუნველსაყოფად; დაემატა ბავშვთა გასართობი ინფრასტრუქტურა და დამონტაჟდა სავარჯიშო ინვენტარი; ასევე გაიხსნა დაწესებულების თანამშრომელთა სასადილო.

№5 დაწესებულებაში დაცულია სისუფთავე. საკნები უზრუნველყოფილია საპირფარეშოთი, ინვენტარით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებით და ცენტრალური გათბობის სისტემებით. საკნები აკმაყოფილებს მოთხოვნას მინიმალურ ფართთან დაკავშირებით.¹⁴

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დაწესებულებაში კვლავ იკვეთება გარკვეული პრობლემები. როგორც ვიზიტის დროს დადგინდა, დაწესებულებას ხშირ შემთხვევაში არ მიეწოდება სასმელი წყალი.¹⁵ აღნიშნულის გამო, პატიმრები და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები იძულებულნი არიან წყლის მარაგი შეინახონ სხვადასხვა სახის ჭურჭლით. პატიმართა გადმოცემით, არის შემთხვევები, როდესაც შხაპის მიღების დროს მოულოდნელად წყალი წყდება და ასეთ შემთხვევაში, მათ ჭურჭელში შენახული ცივი წყლით უწევთ ბანაობის გაგრძელება. პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში შხაპის მიღების უფლება ეძლევათ მხოლოდ კვირაში ორჯერ და ისიც ერთ ჯერზე არაუმეტეს 20 წუთის ხანგრძლივობით. დაწესებულების დახურულ ნაწილში მყოფი პატიმრები ითხოვენ აღნიშნული დროის გონივრული ვადით გაზრდას, ვინაიდან, მათი განმარტებით, 20 წუთში ისინი სრულყოფილად ვერ ასწრებენ დაბანას და მოწესრიგებას. დახურულ ნაწილში მყოფი პატიმარი ქალები სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე ითხოვენ საშხაპეში ყოველდღიური დაბანვის შესაძლებლობის მიცემას. №5 დაწესებულებაში დასამონტაჟებელია სარეზერვო ავზები, რაც ქსელურად წყლის შეწყვეტის

¹⁴პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის 2-ე და 3-ე პუნქტების თანახმად 1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა არის 4 კვ.მ, ხოლო 1 ბრალდებულზე 3 კვ.მ. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მკაცრად განსაზღვრავს ერთ პატიმარზე საცხოვრებელი ფართობის მინიმალურ სტანდარტს ამ სტანდარტის მიხედვით, მინიმალური საცხოვრებელი ფართობი (საპირფარეშოს გამოკლებით), რომელიც პატიმარს ერთკაციან საკანში უნდა ჰქონდეს 6მ²-ია. რაც შეეხება ორ და მეტ კაციან საკანს, აქ მინიმალური საცხოვრებელი ფართობის ნორმა თითო პატიმარზე 4 მ²-ია (საპირფარეშოს გამოკლებით). აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ხელი შეუწყოს უფრო მაღალი სტანდარტის დამკვიდრებას, რომლის მიხედვითაც სასურველია, რომ ერთკაციანი საკნის საცხოვრებელი ფართობი იყოს მინიმუმ 8-9 მ², ხოლო ყოველ მომდევნო პატიმარზე მინიმალურ 6 მ² საცხოვრებელ ფართს დაემატოს 4 მ². ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/16806cc449> [ბოლოს ნანახია:13.06.23].

¹⁵ №5 დაწესებულებას არ გააჩნია წყლის სარეზერვო ავზები, რამაც ქსელურად წყლის შეწყვეტის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს საჭირო ოდენობით წყლის მიწოდება.

შემთხვევაში, უზრუნველყოფს N5 დაწესებულებისთვის საჭირო ოდენობით წყლის მიწოდებას.

N5 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების დროს, საცხოვრებელ საკნებში და სველ წერტილებში არ ფუნქციონირებდა ცენტრალური ხელოვნური სავენტილაციო სისტემა, ასევე არასაკმარისად ფუნქციონირებდა საშხაპეებში და სამზარეულოში არსებული სავენტილაციო მოწყობილობები¹⁶.

რეკომენდაციები იუსტიციის მინისტრს:

- N5 დაწესებულებაში დასამონტაჟებელია სარეზერვო ავზები, რაც ქსელურად წყლის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოფს N5 დაწესებულებისთვის საჭირო ოდენობით წყლის მიწოდებას
- შევიდეს ცვლილება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N116 ბრძანებაში და ბრძანებით განსაზღვრული კვირაში ორჯერ შხაპის მიღების უზრუნველყოფა გაიზარდოს მინიმუმ ორჯერ
- შესწავლილ იქნას დაწესებულებაში არსებული სავენტილაციო სისტემების არასათანადოდ მუშაობის პრობლემა და უზრუნველყოფილი იქნას მათი გამართულად ფუნქციონირება

3. კონტაქტი გარე სამყაროსთან

მონიტორინგის დროს, ირკვევა, რომ კვლავ პრობლემურია პატიმართა სატელეფონო საუბრის კონფიდენციალობის დაცვა. დაწესებულების დახურული ტიპის ნაწილში, სატელეფონო აპარატები განთავსებულია ადმინისტრაციის სამუშაო ოთახებთან და პატიმრის საუბარი ისმის, ხოლო ნახევრად ღია ტიპის საცხოვრებელი კორპუსების გარე კედლებზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატები კაბინებში არ განუთავსებიათ. რაც გარდა კონფიდენციალობის დაცვისა, მნიშვნელოვანია წვიმიანი/თოვლიანი ამინდის დროს.

საბანკო ბარათები, რომლითაც ბრალდებულები დარეკვას შეძლებენ, გადაეცემათ დაწესებულებაში შესახლებიდან 10-15 დღის ვადაში. გამოკითხული პატიმრები უთითებდნენ უფრო ხანგრძლივ პერიოდსაც. შესაბამისად, შიდა კლასიფიკაციის საკნებში ყოფნის დროს, ძირითადად შეუძლებელია ოჯახთან დაკავშირება, რაც პატიმარ ქალებში იწვევს დამატებით სტრესს.

გარე სამყაროსთან კონტაქტის საშუალებები განსაკუთრებით მწირია ბრალდებულებისთვის. პატიმრობის კოდექსით 1 თვის განმავლობაში მხოლოდ 3 სატელეფონო ზარის და 4 ხანმოკლე პაემნის უფლება აქვთ. ორივე უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე. დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში მყოფი

¹⁶ საშხაპეებში და სამზარეულოში არსებული სავენტილაციო მოწყობილობები საკმარისად ვერ ახორციელებს ორთქლის გარეთ გატანას.

ბრალდებულების ნაწილს არ აქვს ინფორმაციის მიღების ისეთი საშუალებები, როგორცაა ტელევიზორი/რადიო. დაწესებულებაში არ შემოდის პერიოდული პრესა.

რეკომენდაციები იუსტიციის მინისტრს:

- სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურობის დაცვისა და ცუდ ამინდში ტელეფონით სარგებლობის შესაძლებლობისთვის ეტაპობრივად განხორციელდეს საცხოვრებელი კორპუსების გარე კედლებზე დამონტაჟებული ტელეფონის აპარატების კაბინებში განთავსება; დაწესებულების დახურული ტიპის ნაწილში არსებული სატელეფონო აპარატები კი, განთავსდეს ადმინისტრაციის ოთახებისგან მოშორებით
- მიიღოს ყველა ზომა ბრალდებულის საბანკო ბარათის მაქსიმალურად მცირე ვადაში დასამზადებლად და უზრუნველყოს ბარათის დამზადებამდე კვირაში მინიმუმ ერთი ზარის განხორციელების შესაძლებლობა
- მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდებულ ქალებს ჰქონდეთ წვდომა საინფორმაციო საშუალებებთან

4. მოთხოვნა/საჩივარი

დაწესებულებაში არ ხდება პატიმართა სათანადოდ ინფორმირება მათ უფლება-მოვალეობებზე, მათ შორის დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურის შესახებ. პატიმართა ნაწილი იხსენებს სოციალური მუშაკის ან უსაფრთხოების თანამშრომლების მიერ დაწესებულებაში შემოსახლების შემდეგ ზეპირად განმარტებულ წესებს, ნაწილს კი ინფორმირების ფაქტი საერთოდ არ ახსოვს. მხოლოდ ერთმა პატიმარმა აღნიშნა, რომ წერილობით მიეწოდა ინფორმაცია უფლებების თაობაზე.¹⁷ ამავეს ცხადყოფს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის შიდა კონტროლისა და აუდიტის სამმართველოს მიერ ამავე დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, რომლის მიხედვითაც ქალ პატიმრებს დაწესებულებაში თავდაპირველი შეყვანისას, უფლება-მოვალეობებს კი აცნობენ და ოქმზე ხელსაც აწერენ, თუმცა, გამომდინარე მათი ფსიქო-ემოციური მდგომარეობიდან და საერთო ვითარებიდან, მოცემულ მომენტში აღნიშნულის სათანადო გააზრებას ვერ ახერხებენ და მხოლოდ ზედაპირული წარმოდგენა უყალიბდებათ, შემდგომში კი, სათანადო დოკუმენტაციის ხელმიუწვდომლობის გამო, სრულყოფილი ინფორმაციის მოძიების საშუალება არ აქვთ.¹⁸ შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ როგორც დაწესებულებაში მოთავსებისას, ასევე იქ ყოფნის დროს პატიმრებს პერიოდულად როგორც წერილობით, ასევე ზეპირად მიეწოდოთ ინფორმაცია, როგორც მათი უფლება-მოვალეობების,

¹⁷ დაწესებულების ბიბლიოთეკას 2022 წელს გადაეცა ილუსტრირებული ბუკლეტები, ქართულ, ინგლისურ, რუსულ და სპარსულ ენებზე, სადაც მოკლედ არის გადმოცემული პატიმართა უფლებები, თუმცა ბუკლეტები პატიმართათვის ხელმისაწვდომ ადგილზე არ არის განთავსებული.

¹⁸ 2022 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის შიდა კონტროლისა და აუდიტის სამმართველოს N5 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული გეგმიური სრული სისტემური მონიტორინგის ანგარიში.

ასევე დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. აღნიშნული ეხება, როგორც ქართულად მოსაუბრე, ასევე უცხოენოვან პატიმრებს.

როგორც ქართულად მოსაუბრე, ასევე უცხოენოვან პატიმრებს ხელი არ მიუწვდებათ განახლებულ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებზე.¹⁹ დაწესებულების ბიბლიოთეკაში ინახება 2019 წელს გამოცემული პატიმრობის კოდექსი ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. ბიბლიოთეკაში საერთოდ ვერ მოიძებნა N5 პენიტენციური დაწესებულების დებულება.

საჩივრის უფლების რეალიზების კუთხით დაწესებულებაში არაკეთილსაიმედო მდგომარეობაა. დაწესებულების ნახევრად ღია ნაწილში საჩივრის გამოყენება მიუღებელია. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი გაგზავნის საჩივარს, შესაძლოა სხვა პატიმრების და ადმინისტრაციის კეთილგანწყობა დაკარგოს და უსაფრთხოების მოტივით გადაიყვანონ დაწესებულების დახურულ ნაწილში, სადაც ბევრად შემზღუდავ პირობებში მოუწევს ცხოვრება. შედეგად, პატიმართა უმრავლესობა საჩივრისგან თავს იკავებს და ცდილობს სხვადასხვა საკითხის მოსაგვარებლად გამოიყენოს პოზიტიური ურთიერთობები ან დასახმარებლად მიმართოს სხვა პატიმრებს, რომელთაც კარგი ურთიერთობა აქვთ ადმინისტრაციასთან. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პატიმრებისთვის სერვისების მიწოდება და მათი პრობლემების მოგვარება არ უნდა იყოს დამოკიდებული ადმინისტრაციის კეთილგანწყობაზე, რადგან ეს მათი ვალდებულებაა.

ბრალდებულების და უცხოელების ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია სახალხო დამცველის ცხელი ხაზის შესახებ. მონიტორინგის ვიზიტის მომენტში, ცხელ ხაზზე²⁰ დაკავშირება მოხერხდა C და D კორპუსებიდან, ხოლო A კორპუსიდან დაკავშირება შეუძლებელი აღმოჩნდა. სახალხო დამცველი მოუწოდებს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს შეისწავლოს N5 დაწესებულებაში საჩივრის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული პრობლემები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება.

რეკომენდაციები იუსტიციის მინისტრს:

- დაწესებულების სოციალურმა მუშაკებმა უზრუნველყონ როგორც ქართულ, ასევე უცხო ენოვან პატიმართა ზეპირად და წერილობით ინფორმირება უფლებებზე, როგორც დაწესებულებაში შესახლებისას, ისე დაწესებულებაში ყოფნის მთელ პერიოდში. ასევე უფლებების შესახებ ინფორმაცია ბროშურის სახით მიეწოდოს დაწესებულებაში ახალ შემოსახლებულ პატიმრებს

¹⁹ ანალოგიურ პრობლემაზე ისაუბრეს პატიმრებმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის შიდა კონტროლისა და აუდიტის სამმართველოს მიერ ამავე დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის დროს.

²⁰ 2023 წლის 1 იანვრიდან 21 მაისის ჩათვლით სახალხო დამცველის ცხელ ხაზზე N5 დაწესებულებიდან სულ 25 სატელეფონო ზარი შემოვიდა.

- პერიოდულად უზრუნველყოს დაწესებულების ბიბლიოთეკის მომარაგება მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით როგორც ქართულ ასევე უცხო ენებზე

5. სამედიცინო მომსახურება

5.1. სამედიცინო ინფრასტრუქტურა

დაწესებულების სამედიცინო ნაწილში მიმდინარეობს რემონტი, რაც მისასაღმებელია. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ გათვალისწინებული იქნა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და სამედიცინო ნაწილში, აბანოს გვერდით მდებარე საკნის რემონტიც მიმდინარეობს.

5.2. სამედიცინო პერსონალი და სამედიცინო დოკუმენტაცია

დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსებში პირველადი ჯანდაცვის 4 ოთახია, სადაც დასაქმებულია 2 პირველადი ჯანდაცვის ექიმი და 4 დღის ექთანი. დაწესებულების სამედიცინო ნაწილში არსებული ყველა ვაკანსიის შევსების მიუხედავად, პატიმართა რაოდენობისა და დაწესებულებების საცხოვრებელი კორპუსების ერთმანეთთან დაშორების გათვალისწინებით, სამედიცინო პერსონალი, განსაკუთრებით კი მორიგე პერსონალი,²¹ ძლიერ დატვირთულია.²² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მიუთითებს, რომ 24 საათიანი სამუშაო რეჟიმი უარყოფით გავლენას აუცილებლად მოახდენს სამედიცინო პერსონალის მუშაობის ხარისხზე.²³ იმისთვის, რომ არ მოხდეს სამედიცინო პერსონალის გადაწვა მნიშვნელოვანია გაიზარდოს მორიგე სამედიცინო პერსონალის რაოდენობა.

დაწესებულებას ემსახურებიან სხვადასხვა პროფილის ექიმ-სპეციალისტები. სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის დროს დადგინდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც პაციენტს შესაძლოა 1 თვე ან მეტი დრო დასჭირდეს ლოდინი კონსულტაციისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ექიმ-სპეციალისტთა ვიზიტები იმგვარად იქნას ორგანიზებული, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო 2 კვირას არ აღემატებოდეს. ექიმ-სპეციალისტებთან საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს გინეკოლოგის საკითხიც, დაწესებულებას ემსახურება ერთი გინეკოლოგი, რომელიც მამაკაცია. ხშირ შემთხვევაში, ქალი პატიმრები უარს ამბობენ გინეკოლოგის კონსულტაციაზე, რადგან მამაკაცი სპეციალისტი უხერხულობას უქმნით. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების ქალი მორიგე ექიმის მიერ, რომელიც სერთიფიცირებული გინეკოლოგია შესაძლებელია სპეციფიკური

²¹ დაწესებულებაში დასაქმებულია 4 მორიგე ექიმი და 4 მორიგე ექთანი, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მორიგეობენ 4 დღეში ერთხელ 24 საათი.

²² დაწესებულებაში არის პირველადი ჯანდაცვის 4 კაბინეტი. დაწესებულებას დღის განმავლობაში ემსახურება 2 პირველადი ჯანდაცვის ექიმი და 5 დღის ექთანი. არასამუშაო დროსა და დასვენების დღეებში დაწესებულებაში მორიგეობს 1 მორიგე ექიმი და 1 მორიგე ექთანი.

²³Moldova: Visit 2015, CPT/Inf (2016) 16 | Section: 21/41 | Date: 05/04/2016. პარ:112.

პროცედურების ჩატარება, თუმცა ამ შესაძლებლობის შესახებ პატიმრები ინფორმაციას არ ფლობენ.

კვლავ პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო რეფერალის დროული განხორციელება, აღნიშნული დასტურდება როგორც პატიმარებთან გასაუბრებისას, ასევე სამედიცინო რეფერალის ერთიანი ელექტრონული ბაზის შემოწმებით. რიგ შემთხვევებში დარღვეულია გეგმიური სამედიცინო მომსახურებისთვის პაციენტის გაყვანის ვადები.²⁴

სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლით დადგინა, რომ სამედიცინო ბარათებში მკურნალობის შედეგების შესახებ ინფორმაცია არ არის, რაც ართულებს მკურნალობის ადეკვატურობისა წლების განმავლობაში პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილების ობიექტურად შეფასებას. რაც შეეხება ექიმ-კონსულტანტთა აღრიცხვის ჟურნალებს, ხშირ შემთხვევაში არ არის მითითებული კონსულტაციის ჩატარების თარიღი, რაც ართულებს მოლოდინის დროის დადგენას.

5.3. რეპროდუქციული ჯანმრთელობა

2023 წელს დაწესებულებაში ქალთა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პატიმრებთან საინფორმაციო შეხვედრები არ ჩატარებულა. ორსულობის დადგენა ორსულობის ტესტითა და ექოსკოპიური კვლევით ხდება. ორსულობის დადგენისას ორსული ქალი აღრიცხვაზე დგება და კონსულტაციები სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში უტარდება. დაწესებულების ექიმები კი მხოლოდ რუტინულ შემოწმებასა და მედიკამენტების მიწოდებას უზრუნველყოფენ. მთავარი ექიმის განმარტებით, თუ პატიმარს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის სურვილი აქვს, მას ეს პროცედურა არ უფინანსდება. პატიმარმა თავად უნდა მოიძიოს კლინიკა, გადაიხადოს ყველანაირი ხარჯი და დაწესებულება მხოლოდ მის გადაყვანას უზრუნველყოფს. აღნიშნული დაკავშირებულია დროსთან და შესაძლოა ვერ მოხერხდეს ორსულობის შეწყვეტისთვის კანონით დადგენილ ვადებში.

რაც შეეხება სკრინინგულ გამოკვლევებს, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის დასაწყისში პატიმართა ნაწილს ჩაუტარდა მკერდის კიბოს სკრინინგი და სპეციალური პრევენციული ჯგუფი ვიზიტის დროს იგეგმებოდა საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის ჩატარება. მნიშვნელოვანია, რომ სკრინინგული გამოკვლევები რუტინულად უტარდებოდეთ შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პატიმრებს. გარდა ამისა მნიშვნელოვანია საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, როგორც ჯანდაცვის პროგრამებსა და პრევენციული ჯანდაცვის საკითხებზე ასევე რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

²⁴ მაგ. ერთ-ერთი მსჯავრდებული დარეგისტრირებული იყო ამბულატორიულად ჰემატოლოგის კონსულტაციაზე 2022 წლის დეკემბერში, თუმცა კონსულტაციაზე ჯერ გაყვანილი არ იყო. ერთ-ერთი მსჯავრდებული დიაგნოზით - სარძევე ჯირკვლის სოლიტარული კისტა, მამოლოგის რეკომენდაციით, ოპერაციული მკურნალობის მიზნით, დაარეგისტრირეს 2022 წლის ივლისში, თუმცა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტის დროს კვლავ ელოდა კონსულტაციას.

5.4. ფსიქიკური ჯანმრთელობა

დაწესებულებაში მოთავსებისას ფსიქიკური ჯანმრთელობის პირველადი სკრინინგი ერთჯერადად, სამედიცინო ბარათში ინტეგრირებული ინსტრუმენტით²⁵ ხდება. დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში კი ფსიქიატრთან გადამისამართებას ოჯახის ექიმი ან მორიგე ექიმი ახდენს. მხოლოდ დაწესებულებაში მოთავსებისას ერთჯერადი სკრინინგის ჩატარება კი არასაკმარისია, რადგან პიროვნებისთვის თავისუფლების აღკვეთა თავისთავად არის მასიური ფსიქოტრავმა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენას ან მის დეკომპენსაციას. ადრეული დიაგნოსტიკისა და პრევენციული მიდგომის მნიშვნელობა, რომელიც აქტუალურია დაავადებების მართვასა და პროფილაქტიკაში და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პენიტენციურ სისტემაში პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის დროს. ამიტომ მნიშვნელოვანია შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი.

დაწესებულებაში ფსიქიატრიული დახმარება მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციით და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება, ფსიქიატრიული დახმარება კი არ ატარებს ბიო-ფსიო-სოციალურ ხასიათს. პაციენტებთან არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა. პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის უნარებს არ ფლობენ. კრიზისული შემთხვევის დადგომის შემთხვევაში პაციენტი, სასწრაფო წესით, გადაჰყავთ N18 დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში. პაციენტების ამბულატორიულ სამედიცინო ბარათებში, ფსიქიატრის კონსულტაციებს შორის პაციენტის ფსიქიკურ მდგომარეობაზე ჩანაწერი არ არის, ასევე არ არის ინფორმაცია ფსიქოტროპული მედიკამენტებით გამოწვეული გვერდითი ეფექტებისა და გვერდითი ეფექტების მართვისთვის გატარებული ღონისძიებების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტები, მუდმივად უტარდებოდეთ ფიზიკური ჯანმრთელობის შემოწმება.

5.5. ხანდაზმული პატიმრები

დაწესებულებაში არ ხდება ხანდაზმული პირების სტატისტიკის წარმოება და მათი საჭიროებების გამოვლენა, რადგან დაწესებულების პერსონალს მსგავსი მითითება არ აქვს. ხანდაზმული პატიმრებისთვის არ არის შეთავაზებული სპეციალური ზრუნვა, მათ შორის სამედიცინო მომსახურების კუთხით. სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს

²⁵ ინსტრუმენტი მოიცავს კითხვებს ფსიქიატრიული ისტორიის, სუიციდის, სტრესის, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების, ტრამვული გამოცდილების და ფსიქიატრის ან სხვა სპეციალისტების კონსულტირების საჭიროების შესახებ.

სამედიცინო საჭიროების მქონე ხანდაზმულები პირების იდენტიფიცირებას და მათთვის შესაბამის სამედიცინო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფას.

რეკომენდაციები იუსტიციის მინისტრს:

- დაწესებულებაში გაიზარდოს მორიგე სამედიცინო პერსონალის რაოდენობა
- უზრუნველყოს ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების სიხშირე იმგვარად, რომ პაციენტთა მოლოდინის დრო არ აღემატებოდეს 2 კვირას
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზირებისთვის:
 - პენიტენციურ სისტემაში დაინერგოს ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემა
 - სამედიცინო პერსონალს, პენიტენციური სისტემის შესაბამისი დებულებებით, დაევალოს პაციენტების შესახებ ინფორმაცია ასახოს ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში
- უზრუნველყოს გეგმიური რეფერალის დროული განხორციელება;
- შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი
- უზრუნველყოფილი იქნას იმ პაციენტთა ფიზიკური ჯანმრთელობის მუდმივი შემოწმება, რომელთაც დანიშნული აქვთ ფსიქოტროპული მედიკამენტები
- უზრუნველყოს დაწესებულების სამედიცინო პერსონალის გადამზადება ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში
- მულტიდისციპლინურმა გუნდმა შეაფასოს იმ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც სტაციონარული მკურნალობა არ ესაჭიროებათ; გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, შეიმუშაონ ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება
- უზრუნველყოფილი იქნას დაწესებულებაში პერიოდული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება
- უზრუნველყოფილი იქნას საინფორმაციო შეხვედრების გამართვა, როგორც ჯანდაცვის პროგრამებსა და პრევენციული ჯანდაცვის საკითხებზე ასევე რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე
- უზრუნველყოს სამედიცინო საჭიროების მქონე ხანდაზმულები პირების იდენტიფიცირება და მათთვის შესაბამის სამედიცინო სერვისებზე წვდომა.